№ 156
პარასკევი, 22 ივლისი 1894

1877—1894

# ივერია

№ 156
პარასკევი, 22 ივლისი 1894

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 0 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთი დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 24 ივლისს.

„ივერია“
გამოდის 1894 წელს
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
სატელეგრ. ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакцiя „ИВЕРIА“.

წერილები და კორესპონდენციები უნდა იგზავნებოდეს მხოლოდ რედაქციის სახელზედ.

საზაფხულო ახალი თეატრი
„ფანტაზია“
კვირას, 24 ივლისს, ქართულს ენაზედ
წარმოდგენილი იქნება
I
არსენა
დრ. 3 მოქ. ა. ყაზბეგისა
II
დატრიალდა ჯარა
ვოდ. 1 მოქმ.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი რჩეულოვისა, იოსებიძისა (პირველი დებიუტი), ბ.ნნი ადამიძე, მჭედლიშვილი, საფაროვი, ხარაზოვი, ნასიძე და სხვანი.
ანტრაქტებში დაუკრავს ცეცხლის მქრობელ რაზმის მუსიკის ხორო.
დასაწყისი 8½ საათზედ

## ახალი ამბავი

*** ამ დღეებში ბ-ნმა პოლიცმეისტერმა უბრძანა ყველა განყოფილების ბოქაულებს, რომ თქვენვე დაიარეთ ყველა დუქანი, ყავახანა და იაფი სამზარეულო და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ სამზარეულოს ჭურჭელს და თვით სადგომის სისუფთავესო. ამ ბრძანების ძალით ბოქაულებმა დაათვალიერეს აღნიშნული სამზარეულო და ყავახანები და მე-2 განყოფილებაში დუქნებში და სამზარეულოებში ბოქაულმა და ქალაქის ექიმმა იპოვნეს 20 გირვანქა გაფუჭებული ძეხვი და ღორის ხორცი და ერთს მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზედ, ერთი პატარა ბოჩკა გაფუჭებული წვრილი თევზი. ამას გარდა ძალიან ბევრი ხილი გადააყრევინეს; მე-3 განყოფილებაში იპოვნეს 20 მოუკალავი სპილენძის ქვაბი, მე-9 (კუკიაში) განყოფილებაში 70 ასეთივე ქვაბები, რომლებიც გაგზავნილია მოსაკალავად, მე-7 განყოფილების ბოქაულმა, ამავე განყოფილების ექიმმა და ადგილობრივმა სასანიტარო ექიმმა უსუფთაო სპილენძის ქვაბები აღმოაჩინეს.

*** ჩვენ მოგვივიდა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ მიერ გამოცემული „სვიის გვირგვინი“, მოთხრობა ქრისტეფორე შმიდტისა, თარგმანი სალომე შუბათელის მიერ. წიგნი შეიცავს ორმოცდა-ექვს გვერდს, სუფთა ქაღალდზედ არის დაბეჭდილი და ღირს სამი შაური.

*** ქ. სიღნაღი. ძალიან დაგვცხა. კარგა ხანია ცის ნამი აღარა ჰღირსებია ჩვენს მხარეს. ამ სიცხე პაპანაქებაში მოვლა უნდა ქალაქს და სოფლებს, თორემ როდესაც წრეს გარდასული სიცივე, და ყინვა, მაშინ რაღ გვინდა ზრუნვა სისუფთავისათვის. მთავრობა დიდადა სცდილობს ამ მეცადინეობასთან დიდ-ძალს ფულსაცა ჰხარჯავს ხალხის ჯან-მთელობისათვის და აწესებს სხვა-და-სხვა სასანიტარო კომისიებს, რომ უსუფთაობის და უწმინდურობის გამო გადამდები სენი არ მოედოს ხალხს.

აბა ახლა თვალი გადავავლოთ იმათ, რომელნიც ვალდებულნი არიან ამ საქმისათვის იზრუნონ. მაგალითად, გადახედეთ ფერშალ ივ. [illegible]ნ—ის ეზოს. ამ ეზოს პატრონის კარ-მიდამოში ყოველნაირ უწმინდურებას შეხვდებით, ცხენისა, ვირისა ქათმისა და ძაღლის ნაკელს. ამ ნაკელ-ნაგვით იწამლება ჰაერი ამ საშინელ სიცხე პაპანაქებაში. თვითონ ამ ეზოს პატრონია მოვალე ამისთანა უსუფთაობა ააცილოს ხალხს და იგივე არღვევს სისუფთავის წეს-რიგს.

*** ს. ქვემო-მაჩხაანი: აქ შესდგა კომისია, რომელიც გულ-მოდგინედ სცდილობს შეიმუშავოს ისეთი მოკლე და მარტივი წესდება სახალხო დეპო-ბანკისა, რომლის ხელ-მძღვანელობით შეეძლებათ მსურველთ ყველგან გაახორციელონ სახალხო დეპო-ბანკი. ხსენებული წესდება აღბეჭვდისათანავე გაეგზავნებათ მუქთად გაზეთის ხელის მომწერლებს.

*** გორი. წინ მსვლელობისა და განსაკუთრებით უსუფთაობის მხრივ ჩვენი ქალაქი თითქმის ყველა სამაზრო ქალაქს უკან ჩამოურჩება. ამ ჟამად ისე, უსუფთაოდ უპატრონოდ არის შენახული, რომ ყოველ ქუჩაში ყელამდის ნაგავსა ნახავთ, თითქმის უმთავრესი „სამეფო ქუჩაც“-კი უსუფთაოდ არის შენახული! ეს გარემოება უეჭველია იქონიებს ცუდს გავლენას გორელების ჯანმრთელობაზედ. მეიჯარადრე, რომელმაც ქალაქი მუდამ დღე უნდა დაასუფთაოს, სულ არ აქცევს ყურადღებას თავისს მოვალეობას. კარგი იქნება გ[illegible]რის გამგეობამ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს და ამ მხრივ უზრუნველ ჰყოს გორის მცხოვრებნი; შარშან უფრო სუფთათ იყო შენახული გორი წრევანდელზედ.

გორის ტაძარში ყოველ უქმე და კვირა-დღეს მშვენიერად გალობენ ხოლმე ქართულად ტფილისის სემინარიის მოსწავლენი და ტკბილს ქართულის ჰგალობით ატკბობენ მლოცველთა სმენას.

*** ცხინვალი. საფილოქსერო დასმა იმ ვენახების გარდა, რომლებიც შარშან ასჩეხეს და დასწვეს, წელს კიდევ ორ ვენახში აღმოაჩინა ეს სენი. ერთი ეკუთვნის კიდევ იმ ტერ-სტეფანოვებს, რომელთაც შარშან გაუჩეხეს, და მეორე იმისსავე გვერდზედ ქავთარაძის ობლებსა. საცოდავების ნუზლი ეგ ერთად ერთი ვენახი იყო. არც საზოგადოდ ცხინვალს ესიამოვნა ეს მოულოდნელი ამბავი.

*** სოფ. მეტეხი: ჩვენს სოფელში გავრცელებულია და ხელს უცარავს ადგილობრივ მცხოვრებთ სამუშაო საქონლის ავადმყოფობა. ჯერ წარსულ ივნისის პირველ რიცხვებიდგანვე გაჩნდა თურქული და აქამდე მძვინვარებდა. ეხლა ცოტა არ არის კლება იწყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ნაავადმყოფარ საქონელს შემოეპარა უცნაური სენი: საქონელს კრიჭა ეკვრის, ფაღარათდება მუცელში და რამდენისამე დღის შემდეგ იხოცება. მართალია, ძალიან არა მძვინვარებს ეს სენი, მაგრამ თუ რაიმე ზომა არ იქნა მიღებული ამ გვარი სენის მოსასპობლად, ხალხი დიდად დაზარალდება.

*** ქარელი: ჩვენკენ მშვიდობიანობაა, მხოლოდ საქონლის თურქულმა მეტად თავი იჩინა და საბრალო

## ფელეტონი

ნაწყვეტი

გამძღავრდი, ჩვენო მწერლობავ,
გონას ბინდი მოგვაშორე,
გული გრული განგვიწმინდე,
მოგვიწყურთნე, მოგვიღორე,
განგვარიდე ბოროტებას;
დიდს და მცირეს ჭარიც-ღხინიც
მადლით გაგვითანასწორე.

დ. მაჩხანელი

### მეთვალყურის შენიშვნები

(წერილი მეორე)

Willst du des Landes lov und seine
Würde miv zeigen
Deut aux Paläste nicht hin—xühr in
die Schulen mich ein *).

ს. აბაშის და ნანეიშვილისეული საზოგადოება (გურიაში) დ. აბაშისა და საჭილაოს საერო წიგნთ-საცავების საქმე.

პირველ დაწყებითი სასწავლებლების სამაგალითოდ მოწყობით დღეს უფრო სახელ-განთქმულია ავსტრია და გერმანია; ავსტრიელები სამართლიანად ამბობენ, თუ გინდა დამიმტკიცოთ რომელისამე ქვეყნის აყვავება განათლების მხრივ, სასახლეებსა და დარბაზებს-კი ნუ მიჩვენებთ, სასწავლებლებში შემიყვანეთ. ავსტრიის მოწინავე და შეგნებული ხალხი, სოფლის სასწავლებელს სარკედ სთვლის უბრალო ხალხისათვის; როგორც ჰიგიენიურად მოწყობილობა, ისე საჭირო, მაგრამ თუნდ ძვირფასი ნივთებითაც სასწავლებლის მოწყობა, საღმრთო ვალად მიაჩნია. ავსტრიის ხალხმა კაი ხანია შეიგნო დიდებული სიტყვა იმპერატორ იოსებ II-სა, რომ სასწავლებელზედ დახარჯული ფული ერთი ორად ჰბრუნდება საპყრობილეებისა და საავადმყოფოების ხარჯის შემცირებითაო. დასასრულ ავსტრიელები დიდი და პატარა, განათლებული და გაუნათლებელიც შესაფერს პატივსა სცემენ ყველას მათ, ვინც პატიოსნად და სინიდისიერად ჰმუშაობს სასწავლებლების გავრცელებისათვის. სკოლებისაგან, როგორც ერის ბედნიერების წყაროდგან, ავსტრიელები მოელიან ხალხის განახლებას, უკეთესს მამულიშვილებს; ამიტომ დღეს ავსტრიელი მამულიშვილი ამას ჰღაღადებს: „ავსტრია ჯერ არ ყოფილა, მაგრამ იქმნებაო“.

ჩვენში ჯერ პირველ-დაწყებითის განათლების საქმე ისე კუს ნაბიჯით მიდის, რომ ბევრს ჩვენებურ სოფლის საზოგადოებაში სასწავლებლებს, ფარნითაც რომ ეძებო, ვერ იპოვი, ამბობენ და სტატისტიკითაც დამტკიცებულია, რომ მთელს საქართველოში პირველ დაწყებით სასწავლებლების უნარი და მნიშვნელობა დასავლეთ საქართველომ და უფრო გურიამ შეიგნოვო. მაგრამ დღეს გურიაშიაც მოიპოვება ისეთი სოფლის საზოგადოებანი, რომელთაც აგერ ათი-თხუთმეტი წელიწადია სასწავლებლის საჭიროების შესახებ ეჩიჩინებიან, მაგრამ მაინც ვერ შეიგნეს და ვერა, ხალხი მაინც უარზე სდგას სასწავლებელი დაიარსოს. ამ ცოტა ხნის წინად სოფ. საჯავოხოში, ნანეიშვილისეულ სოფლის საზოგადოებაში, სადაც სკოლის ხსენებაც არ არის, განაჩენი დაუდგენიათ სკოლის გახსნის თაობაზედ. ეს განაჩენი ადგილობრივ ბოქაულს წარუდგენია დასამტკიცებლად, სადაც ჯერ იყო, მაგრამ სანამ განაჩენს დაამტკიცებდნენ, ნანეიშვილისეულმა საზოგადოებამ იჩივლა მთავრობის წინაშე, რომ ჩვენ განაჩენის თანხმანი არა ვართო, წერა არ ვიცოდით და ჩვენს მაგიერ, ჩვენის სურვილის წინაამდეგ, სხვებს მოაწერინეს ხელიო, მაშინ როდესაც ჩვენ სკოლის დაარსების სურვილი სულ არ გაგვიცხადებიაო და სხ. რასაკვირველია, წინანდელი განაჩენი დაირღვა და ამ ნაირად ხსენებულს საზოგადოებაში სკოლის გამართვის საქმე ჯერ-ჯერობით შეჩერებულია და ვინ იცის როდის ეღირსება საწყალი ნანეიშვილისეულის სოფლის საზოგადოების მოზარდი თაობა განათლების სხივის მიღებას?

განათლების მხრით ნანეიშვილისეულს საზოგადოებას არც მისი მეზობელი აბაშის სოფლის საზოგადოება ჩამორჩება უკან; ამ სამამასახლისოს დიდი ხანია უნდა სასოფლო სკოლა დააარსოს, ამის შესახებ რამდენჯერმე შეკრებილან და მსჯელობაც ჰქონიათ, მაგრამ, რადგანაც სკოლისათვის ადგილის არჩევას ვერ შეთანხმებულან სხვა-და-სხვა სოფლები, ამიტომ სკოლის გამართვის საქმეც ვერ განხორციელებულა. რასაკვირველია, სკოლის გამართვის დროს ორს უმთავრეს პირობას უნდა მიექცეს ყურადღება: ერთი იმას, რომ სკოლა ყველა სოფლებისათვის დასამხარ ადგილას უნდა იყოს, და მეორე, ის ადგილი აკმაყოფილებდეს შეძლებისადა გვარად ყოველს გვარს ჰიგიენურს მოთხოვნილებას. ს. ჭოკნარზე, (აბაშის საზოგ,) ერის სასულიერო სემინარიაში კურს დამთავრებულს ბ. კანდელაკს გაუმართავს სამრევლო სასწავლებელი, წლიურად სწავლის ფასი გაუხდია 5 მან., 40-მდის მოსწავლისათვის მოუყრია თავი, მაგრამ დაწესებულ ფასისის ნახევარიც ვერ აუღია. მასწავლებელი და მისი მეუღლეც თურმე ძალიან გულ-მოდგინედ ასწავლიან პატარა ბავშვებს, რომლებიც დიდად მადლიერნი არიან თავიანთი მასწავლებლისა. თუ ნივთიერი სივიწროვისა გამო მასწავლებელი არ შენაღვლიანდა და გულ-გრილად არ მოეკიდა სწავლის საქმეს უნდა ვიფიქროთ, იგივე მასწავლებელი ბ-ნი კანდელაკი მალე მოაგვარებს აბაშის საზოგადოებაში საზოგადო ხარჯით სკოლის გამართვასაც. ღმერთმა ჰქნას!

აბაშის სოფლის საზოგადოების შესახებ ლაპარაკმა მომაგონა მეორე აბაშაც (სამეგრელოშია). აქ, დ. აბაშაში ამ სამი-ოთხის წლის წინად ერთი განათლებული ახალგაზდა ყმაწვილი, საერო წიგნთ-საცავისა და სამკითხველოს დაარსებას აპირებდა, ამისთვის წარმოდგენების გამართვით თუ სხვა შეწირულებათა შეგროვებით რამდენიმე შეწირულებაც შეგროვდა და გადაეცა ხსენებულს მეთაურს.

*) თუ გინდათ დამიმტკიცოთ რომელისამე ქვეყნის აყვავება და ღვაწლი განათლების შესახებ, სასახლეებს-კი ნუ მიჩვენებ, სასწავლებლებში შემიყვანეო.

მუშა გლეხნი ამის გამო ძალიან გაჭირვებულნი არიან კალოების ლეწვის დროს. მოსავალს კარგი პირი უჩანს. ჩვენკენ გახურებული მკა და კალოების ლეწვაა, მაგრამ მეტი დიდი სიცხეებია, აღმოსავლეთის ქარმა ილაჯი გაგვიწყვიტა, სიმინდებს და ლობიოს, თუ ასე გასტანა, მთლად ამოახმობს.

*** ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა ლაპარაკი აღძრა ქუთაისის გუბერნიაში ორ სახელოსნო სკოლის დაარსების შესახებ. ერთს ამ გვარ სკოლის დაარსებას ქუთაისში აპირობენ. ამ სკოლებში სამის წლის სასწავლებელი კურსი იქმნება. პირველს კლასში ყველა საზოგადო სამოსწავლო საგანს ასწავლიან და ორს დანარჩენ კლასში ხელობას. იმ სკოლაში, რომელიც ქუთაისში იქმნება დაარსებული, ჰფიქრობენ ასწავლონ დურგლობა და მჭედლობა. დიდიხანია, რაც ქუთაისში ჰსაჭიროებენ სახელოსნო სკოლას, ამ ქალაქში 25 ათასი მცხოვრებელია და აქამდინ ერთი სახელოსნო სკოლა არა აქვთ.

იგივე ქუთაისის გუბერნატორი შუამდგომლობს, რათა დაარსებულ იქმნას ბათუმში საქალებო გიმნაზია და ვაჟებისათვის კლასიკური პროგიმნაზია („Т. Л.“).

*** გაზ. „Кавк.“ გვაუწყებს, რომ პარუნბეგოვის მკვლელი სპარსელი ქვეშევრდომი ფაშა-ალი-ოღლი, რომელიც აქამდის იმალებოდა, 19 ივლისს მოვიდა მე-6 პოლიციის განყოფილებაში და გამოუცხადა გლებოვს, მე მოვკალი პარუნბეგოვიო. ფაშა-ალი-ოღლი დაპატიმრებულია.

## დამაკვირდი

„დრო მიდისო!“ ვიტყვით ხოლმე; დრო წარუვალია: ჩვენ მივდივართ.

საფირ ლექსიკ

**

ადამიანს ყველაზედ უფრო სიცოცხლის გაფრთხილების სურვილი აქვს და ყველაზედ ნაკლებ-კი უფრთხილდება.

ლაბრიუერი

* *

აგერ ათი წელიწადია, სთქვა ერთის ფილოსოფოსის მოსწავლემ, ყოველ დღე იმ ფიქრით ვიღვიძებ, რომ უეჭველად უნდა ბრძენი შევიქმნე-მეთქი, მაგრამ მაინც ყოველ ღამე გულ-მოწყენილი ვწვები ლოგინში იმის გამო, რომ ისევ სულელად დავრჩი.

## კორესპონდენცია

**ზუგდიდი** (სამეგრელო) 17 ივლისი. წრეულს ღვთის მადლით ჩვენში მოსავალს კარგი პირი უჩანს. ყანები მშვენიერი სანახავია. ყველგან მწვანე ჯეჯილი ბიბინებს. ივლისის თვის თხუთმეტამდე, უწვიმობამ და გაზვიადებულმა სიცხეებმა ძრიელ ცუდი გავლენა იქონიეს; მაგრამ 15 ამა თვეს, ღამის ათ საათზედ, ცა უცბად მოიღრუბლა, ასტყდა საშინელი ელვაქუხილი და მეხის სროლა. ცამ გახსნა პირი და კოკასავით ჩამოუშვა წვიმა, იწვიმა დილის ცისკრამდის და მერე ისევ გადაიდარა. მოულოდნელმა წვიმამ დაალბო და გამოაცოცხლა სიცხისაგან შელახული ბუნება. მგონია წრეულს ღვინო ბლომად მოგვივიდეს, თუ ბოლოს არ დაგვიზიანდა მწიფე მტევნები. ასე ბლომად და ასეთი სალი მტევნები ჩვენში ჯერ არავის უნახავს.

ხეხილიც ბლომად არის წრეულს ჩვენში, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ციება გაჩნდა და მგონია სული და გული შეგვიწუხოს ამ სენმა. ჩვენი ხალხი დიდად დაქვეითებულია ყოველ მხრივ, იმათი საშუალების სახსარი ერთად-ერთი სიმინდის ფასი იყო და იმასაც ბოლო მოელო. უსაშუალებო, დაცემული ადამიანი ბევრს უსინიდისო ხრიკს იგონებს თვისდა დასახმარებლად; თუ რამე გამოგტყუა ხელიდგან, მერე მისგან მის დაბრუნებას ნულარ მოელი, თუ სახლში არ ეგულები, მტერზედ უარესს გიზამს; გაალაგებს ყველაფერს, თუ რამ ხელში იგდო. ძალდატანებით წართმევა და წაგლეჯა მუდამ იყო ჩვენში და დღესაც უარესია.

უფრო მავნებელ სენად უქმ-მყლაპელი ახალგაზდობაა გადაქცეული. ამ ვაჟბატონებს არც დედ-მამის დანდობა აქვთ, არც ნათესავებისა, არც მეგობრებისა, არც მეზობლებისა და არც არავისი, ოღონდ ვინმე და რამე სადმე იხელთონ. თუმცა ღარიბნი არიან, მაგრამ სიღარიბეს არ იმჩნევენ: მარდად და კოხტად დასეირნობენ, ბანქოს სათამაშოდ—ორ-ორი გროშები ყოველთვის მოეპოვებათ, და სხ. თუ მედუქნე დღისით ნისიად არ მისცემს, სულ ერთია, ამაღამ სად წაუვათ, როცა ოთხი-ხუთი ყმაწვილი ხანჯლით მოადგება.

ასეთი ახალგაზდობა მრავლდება ჩვენს დახავსებულს სამეგრელოში და ძნელად თუ ჩვენს მხარესაც სიკეთე დაეტყოს რამე, რადგან სწავლა-განათლებასაც სულ ერთიანად ჩამორჩენილნი ვართ. ერთი წასაკითხავი წიგნაკი არ მოგვეპოვება და რომ მოგვეპოვებოდეს კიდეც, რად გვინდა, როდესაც წერა-კითხვა არ ვიცით.

დამერწმუნეთ ოთხ-ფეხი ცხოველი პირუტყვი უფრო გამოსადეგი შეიქნება, ვიდრე ჩვენ მომავალში. დროა საზოგადოებამ თავისის შვილებისათვის იზრუნოს რამე მათდა საკეთილდღეოდ. ნიჭი სწავლისა, ღვთის მადლით ყველასა გვაქვს მონიჭებული, თუ გულით მოვიწადინებთ ჩვენის შვილების სიკეთესა და ბედნიერებას.

თეიმურაზ ქიქინაძე

**რაჭა**, 30 ივნისი. მთავრობის განზრახვა სოფლის საზოგადოებათა შეერთების შესახებ რაჭაში უკვე განხორციელებულ იქმნა. მაისის თვეში ბ-ნმა მაზრის უფროსმა და მომრიგებელმა შუამავალმა, ადგილობრივის პოლიციის ბოქაულების თანადასწრებით, შემოიარეს მთელი მაზრა; სასოფლო სასამართლოებში უყრიდნენ თავს რამდენისამე საზოგადოების გლეხობას ერთად და ურჩევდნენ, რომ შეერთებულიყვნენ და შეედგინათ ერთი საზოგადოება; ამასთანავე არწმუნებდნენ, რომ რაც დიდია საზოგადოება და ბევრი წევრი ჰყავს, მით უფრო ღონიერია და უკეთ შესძლებს სოფლის საქმის გაძღოლასა და რიგიანად მოვლასაო, სასწავლებლებს დააარსებს და სხ.

მაზრის უფროსმა განუმარტა გლეხებს სწავლის სარგებლობა. გლეხები ყველგან დასთანხმდნენ და მიიღეს კეთილი რჩევა. სასოფლო მოხელეების არჩევნების შემდეგ განაჩენიც დაადგინეს: დაარსონ ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებლები (ყოველ საზოგადოებაში) სამეურნეო ანუ სახელოსნო განყოფილებით, მიიწვიონ 3 ან 4 მასწავლებელი, მათ რიცხვში სკოლის ზედამხედველიც, რომელსაც დაჰპირდნენ წლიურ ჯამაგირს 400 მან., ხოლო სხვა მასწავლებლებს 300—300 მან. ამასთანავე სკოლებისათვის შესაფერ მზრუნველებსაც ირჩევდნენ, უკეთა ვსთქვათ, თავად ისურვეს ეს თანამდებობა იმისთანაებმა, რომელთაც შეუძლიანთ მართლა მზრუნველობა გაუწიონ სასწავლებლებს.

ამ სასიამოვნო ამბავმა დაგვარწმუნა, რომ ჩვენი ხალხი არ ყოფილა იმისთანა მდევნელი და მოძულე სწავლა-განათლებისა, როგორც გვეგონა. მართალია, ეხლანდელს სასოფლო დასაწყისს სკოლებს ჩვენი გლეხი კარგის თვალით არ უყურებს, მისდა მიმართ გულ-გრილობას იჩენს, არსად ჩვენში სოფლის მასწავლებლის ჯამაგირი, გარდა ერთისა, 200 მანათს არ აღემატება და იმასაც ერთის ყოყმანით და ვაი-ვაგლახით იძლევიან და მომატების შესახებ ხომ კრინტსაც ვერავინ დასძრავდა ყრილობაში, მაგრამ ეს არ ჩაითვლება იმის საბუთად, რომ ჩვენ გლეხობას სწავლა სძულდეს და მისი მდევნელი იყოს. ეხლანდელ სასოფლო დასაწყისს სკოლებს მართლაც იმდენი სარგებლობა არ მოაქვს; ამ სასწავლებლებში ყმაწვილი, ჯერ ერთი, ბევრს არაფერს იძენს და რასაც სწავლობს, ისიც ორის ან სამის თვის შემდეგ, რაკი სასწავლებლიდგან გამოვა, სრულიად ავიწყდება, ვინაიდგან მშობლების სიღარიბის ანუ დაუდევრობის გამო სხვაგან ვერსად მიდის და შინ რჩება, ვიდრე ასაკში მოსვლამდე; ამ ნაირის მდგომარეობის წყალობით ბევრი ისეც ივიწყებს ნასწავლს, რომ რამდენისამე წლის შემდეგ ქართული წერა-კითხვაც აღარ ეხერხებათ. ამის მნახველს გლეხს, რასაკვირველია, გული უტყდება სწავლაზედ და აღარ იმეტებს არავითარს წვლილს მის სასარგებლოდ; ამას დავსძენთ, ზოგ-ზოგან მასწავლებლებიც ისეთნი არიან, რომელთაც ვერ შეუფერებიათ გლეხთა შორის ცხოვრება, და ადვილად დავრწმუნდებით, რომ ხალხს ყოველგვარი ცუდი აზრი სწავლის შესახებ გაურკვევდება.

ნორმალური სასწავლებლები სახელოსნო განყოფილებით, უეჭველია, დიდ სარგებლობას მოგვიტანს და შეაყვარებს ჩვენს ხალხს სწავლა-განათლებას, თუ სიტყვა სიტყვად არ დარჩა და განხორციელდა ყველა ის, რაც არის დადგენილი. მეტადრე სიხარულით მიეგებნენ სახელოსნო და სამეურნეო *) სწავლის შეძენას და მართლაც, რომ ხელოსნობა რაჭველისთვის უმთავრესს საზრდოს მომპოვებელს სახსარს შეადგენს. ხელობის ცოდნა ცოტა-ოდენად მაინც აგვაცილებს იმ სამწუხარო გარემოებას, რომ მრავალი ჩვენი ახალგაზდობა ტფილისსა და სხვა ქვეყნებისაკენ მიდის, მზარეულ-მოსამსახურეებად დგებიან სამიკიტნოებში, რის გამო ბევრი მათგანი ფუჭდება ზნეობით და მრავალს საზიზღარ დანაშაულს სჩადის ხოლმე.

სამამასახლისოების შეერთების საქმეც, საზოგადოდ, რიგიანად წარიმართა; შეერთდნენ ის სამამასახლისონი, რომელნიც დაახლოვებულ და დასამხარს იყვნენ ერთი-მეორესთან, ვერ ისარგებლა მხოლოდ ბუგეულის სამამასახლისომ, რომელიც შეუერთეს ზნაკვისას, ხალხის სურვილის წი-

*) სამეურნეო სკოლების დაარსება რაჭაში ძნელი მოსალოდნელია მიწის სივიწროვისა და სიძვირის გამო.

კ. წ.

აგერ სამი თუ ოთხი წელიწადი გადის და არც წიგნთ-საცავისა და არც ხსენებულ ფულის შესახებ არაფერი არ ისმის. შესაძლებელია ბ-ნმა მეთაურმა დროებით მიივიწყა საერო წიგნთ-საცავის საქმე, რომლითაც მაშინ დიდად გატაცებული იყო, მაგრამ სამი-ოთხის წლის სიჩუმე საბუთს გვაძლევს გავახსენოთ ბ-ნს მეთაურს, რომ თუ საზოგადო საკეთილო საქმეში მეთაურობა სახელია, სამაგიეროდ საქმის დაწყება და შემდეგ-კი გულ-გრილობა და მივიწყებაც არ არის კარგი; ამ ნაირად შეიძლება ხალხის თვალშიაც სახელი პატიოსანის კაცისა დავკარგოთ და იმათი უნდობლობა დავიმსახუროთ. დ. აბაშაში მოღვაწე კაცი ყოველ ნაბიჯზე იშოვის დამხმარებელს, მხოლოდ პირველად უნდა გაძღოლა, გზის ჩვენება, წინამძღვრობა და შემდეგ თავიანთ სასარგებლო საქმეს თითონ გამოაკეთებენ, თითონ გაუძღვებიან.

წიგნთ-საცავის საქმის კეთილ-მდგომარეობას არც ს. საჭილაოში ვხედავთ (აბაშის ახლოა) აქ ამ თორმეტის წლის წინად ერთმა აქაურმა განათლების მოთავემ იკისრა საერო წიგნთ-საცავის გამართვა სოფ. საჭილაოში, მარნის სამამასახლისოში, ამისათვის შეაგროვა ხელის მოწერის გამართვით 100 მანეთამდის და ამ ფულით კიდეც დაიბარა ტფილისიდგან ქართული წიგნები, რომელიც ყდაში დაკაზმულები მიიღო. ბ-ნმა მოთავემ სთხოვა საერო სკოლების დირექტორს, რომ ნება მიეცა მიღებულის წიგნების სკოლის წიგნთ-საცავის ნუსხაში ჩაწერის და სკოლაშივე შენახვისა, მაგრამ, რადგან ხსენებული წიგნები სამინისტროსაგან მოწონებული არ იყო, დირექტორმა უარი—უთხრა სკოლაში მოუწონებელის წიგნების შენახვისა. ამის შემდეგ ხსენებულის 100 მანეთის წიგნების ჭაჭანებაც-კი არ ისმის, სად გაიბნა, არის სადმე დღეს და სარგებლობს ვინმე თუ არა. ასეა დღეს ზოგიერთის სოფლის ინტელიგენციის საქმე; თავის მიერ დაწყებულ და გაკეთებულ საქმეს თითონვე ახდენს მოუვლელობისა და უყურადღებობის გამო. დღეს ბ-ნი გუბერნატორი ყველას ნებას აძლევს უფასო წიგნთ-საცავისა და სამკითხველოს დაარსებისას. რატომ მარნის საზოგადოებაში, სადაც 100 მანეთის სხვა-და-სხვა ქართული წიგნებია გაბნეული, არა ჰზრუნავენ იმისათვისვე. ამისი პასუხის-მგებელი ადგილობრივი ინტელიგენციაა, რომელთაც სარკესავით თვალ-წინ უნდა ჰქონდეს უკვდავის პოეტის ღირს შესანიშნავი სიტყვები:

„არც კაცი კარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფელს-კი ვერარა არგოს“.

ინტელიგენციის, ამ ქვეყნის მარილის, ვალია ხალხის შეგონება, შეგულიანება კეთილ საზოგადო საქმეში, ინტელიგენციის ვალია, თავის თავი მდაბიო ხალხის თვალში იქამდის აამაღლოს, რომ ყველა იმის სიტყვას მოწიწებითა და გულ-დასმით ისმენდეს; ეს ადვილად შეუძლია სოფლად ყველას, ცოტად შეგნებულს კაცსაც, რომელიც-კი ჩვენის ნიჭიერ პოეტის ანდერძს მისდევს:

„აწ ბრძენი უნდა სოფელში ვგრეთ, ვით წმინდა ზერია,
ცხოვრობდეს, ერს ასწავლიდეს, გასადოს მეცნიერია,
ბრძენმა არ უნდა იკადროს ურიგო რაც რამ ფერია,
ბრძენის ურიგო ქცევისა ზამით წახდების ერია“.

Ignotus

## მეგრელების ჩვეულებანი

### I

### ქორწილი

ქალიშვილის პატრონი დედები, ათის წლის რომ გაუხდებათ შვილი, უყიდიან ბატებს და ამწყემსინებენ. ისინიც დილით ადრე მირეკავენ წყლის პირათ და საღამოს მოჰრეკავენ, ასე რო ყოველი გლეხის ქალი თავის სამზითო ქვეშსაგების სამზადისს დიდის ხნიდგანვე უნდა შეუდგეს. მეგრელთა ჩვეულებით, ძალიან ძვირად მოხდება ხოლმე, რომ ქალმა დედმამის სახლში დაიწეროს ჯვარი: მხოლოდ დანიშნავენ-კი და როცა მზითევი მზად ექნება, მაშინ გაისტუმრებენ. სიძე როცა მოვა ქალის დასანიშნად, სასიდედროს უთუოდ უნდა მოუტანოს ან ფული და ან ცხენი მოუყვანოს, ნაძუძურს ეძახიან. ძიძის გაზრდილი თუ არის, მაშინ ამ ნაძუძურის ნახევარი ძიძას ეკუთვნის.

დანიშნამენ ქალს, მეორე დღეს სიმამრი გამოუყვანს ცხენს უნაგრით გაწყობილს, აჩუქებს სიძეს და ისე გაისტუმრებს. წაყვანამდე თუ რამე დღესასწაული იყო, სიძე უნდა მივიდეს სასიმამროსთან ძღვენით.

ქალის დედ-მამა სცდილობს კარგად გაამზითვონ ქალი და ამიტომ, ვინც-კი მოკეთე ჰყავთ, იმათ მიჰმართავენ ხოლმე: ზოგს ცხენს, შეუთვლიან, ზოგს უნაგირს, საკაბეს, პალტოს, სკივრს, ტაშტს, თუნგს, ნოხს და სხვას, ასე რომ საუკეთესო მზითვისა რაც არის, მოკეთეებმა უნდა შეაწიონ.

ამას რომ მოამზადებენ, შეუთვლიან სასიძოს, მზათა ვართ და ქალი წაიყვანეო. სიძე ამზადებს საკლავებს თავის ქორწილისთვისაცა და სიმამრთან გასაგზავნათაც. საცოლოს წამოყვანის წინა დღეს გაუგზავნის: ერთ ხარს, ერთ თხას, ერთ კოდ ღომს, რამდენსამე წყვილ ლავაშს, ისე ღვინოს; ასე რომ იმ დღის ხარჯი სულ სიძის უნდა იყოს.

მეორე დილით ჰგზავნის მაყრებს, და მდადეს. როცა ესენი მივლენ, ცოტა ხნის უკან გამოიტანენ ხოლმე გარეთ ნოხებს, შემოერტყმიან გარს მაყრები, და სხვანი, გამოაქვთ მზითვის სია, წაიკითხავენ, სიას და ყველაფერს თითოულად ჩააბარებენ მოსულ მდადეს. მდადე აიღებს, დაჰკეცავს და დააწყობს ურმებზედ, მაყრები მზითვის სიაზედ ხელს აწერენ ამდენი და ამდენი მივიღეთო. გაისტუმრებენ ურმებს და თითონ დასხდებიან პურის საჭმელად, შემდეგ მივლენ ოჯახის უფროსთან და ეტყვიან:

ნაალმდეგ (იმის პროექტი, რომელი რომელ საზოგადოებას შეერთებოდა, შარშან შეადგინეს ხშირად ხალხის დაუკითხავად). ბუგეულის საზოგადოებას სურდა შეერთებოდა ხვანჭკარისას და ეს უკანასკნელიც ძლიერ მოწადინებული იყო, რადგანაც ეს ორი საზოგადოება ახლოს არიან ერთიმეორეზედ და გზაც კარგი აქვთ, ხოლო რიონი ჰყოფს, რაზედაც სულ მუდამ ხიდია გაგებული, ურომლისობას ხალხი მაინც ვერ რჩება და ვერც მორჩება კიდეც; არ შეაერთეს იმისათვის, რომ ბ-ნმა ქვემო-რაჭის მომრიგებელმა—შუამავალმა ბუგეულელებსა და ხვანჭკარლებშუა რაღაც ერთგნული განსხვავება იპოვა, ვითომც იგინი სულ სხვა-და-სხვა ხალხი იყოს და ერთმანეთს არაფრით ემსგავსებოდნენ; საშიშოდ სცნო ბუგეულის და ხვანჭკარის დაახლოვება, თუმცა როგორც ხვანჭკარლები, ბუგეულებიც რაჭველები არიან, ერთი მეორეზედ ორ ვერსტზედ დაშორებულნი მეზობლები; ხვანჭკარლებიც იმ ენაზედ ლაპარაკობენ, რომალზედაც ბუგეულელები, იმნაირი ტანთსაცმელიც აცვიათ, როგორიც ბუგეულელებს; ისე სთესენ და ისე მკიან, როგორც ბუგეულელები, სარწმუნოებაც ერთი აქვთ, ერთმანეთს ემოყვრებიან; არც ზნე-ჩვეულებით არიან განსხვავებულნი. არ გვესმის, რატომ არ დაკმაყოფილდა ამ შემთხვევაში ხალხის სურვილი, თუ-კი ამნაირ მთავრობის განკარგულებას მიზნადა აქვს, მისი სარგებლობა და კეთილ-მდგომარეობის გაუმჯობესობა?

ბუგეულის დაშორებას ხვანჭკართან და ზნაკვასთან შეერთებას ის ზარალიც მოაქვს, რომ თხოულობენ სასოფლო სამმართველოს შენობის გადატანას, ამისათვისა და აგრეთვე სკოლისათვისაც ადგილის შეძენას, რასაც 100 და 120 თუმანი პირს ვერ მოსწმენდს. უკეთესი არ იქნებოდა, რომ ხალხის ესმინათ რამე და ხვანჭკარა და ბუგეული შეერთებინათ? კანცელარია იქვე დარჩებოდა, სადაც ეხლა არის, სკოლა რიონ გაღმა იქნებოდა, რისთვისაც თთ. ყიფიანები გვითმობდნენ უსასყიდლოდ მიწას და შენობის ასაგებ მასალას.

ეს ახლაც შესაძლებელია, თუ ყურადღებას მოგვაქცევენ; ამ ორ ახლად შეერთებულ საზოგადოებას (ზნაკვა-ბუგეულისას) ხვანჭკარაც რომ შემოუერთონ, მაშინ ნამდვილი შუა ადგილი ის იქნება, სადაც ახლა ბუგეულის სასოფლო კანცელარია სდგას და სკოლაც გაღმა აშენდება ყიფიანების მამულში, ამით ხალხს ძალიან გაუადვილდება შრომა და შეღავათიც ექნება, რადგანაც თთ. ყიფიანები თავის შეპირებას აასრულებენ; საზოგადოებაც არ შესდგება ისე დიდი, რომ 1000 კომლს გადაემეტოს.

იმედი გვაქვს, რომ ამ გარემოებას კიდევ დაუკვირდება ჩვენის მაზრის მთავრობა და ისე მოაწყობს საქმეს, როგორც თვით ხალხი დაინახავს თავისთვის სასარგებლოდ.

კ. წულუკიძე

## „კანონის მასხარად აგდება“

(საყურადღებოდ)

ახალ კანონ-მდებლობის ძალით სასტიკად აკრძალებათ მოვაჭრე-მედუქნეებს სავაჭრო საქონლის სულადზე გაცვლა, მაგრამ წელსაც ხალხს მეკლდევნა ვაჭარ-ჩარჩების დუქან-ბაზრებით მოეფინა თითქმის მთელი სიღნაღის მაზრის კალოები. შარშანაც და წლეულაც იყო გაზეთებში: რატომ არ უკრძალავენ ვისაც ჯერ არის მედუქნეებს კალოებზედ ვაჭრობასაო, მაგრამ . . . მედუქნეები დღესაც ას-ას ურმიანს ბეღლებსა სტენიან, სოფლებში თუ კალოებზედ, და იმათი მოდავე არავინ არის. ზოგნი უკმაყოფილოდ გაიძახიან: „ეს ხომ კანონის მასხარად აგდებაო“, და მედუქნეები დაცინვით მიუგებენ: „კანონები ჯიბეში გვიწყვიაო!“ ზოგნის ცდის შემდეგ დღესაც ვერ განუხორციელებიათ ჩვენს ქვეყანაში სულადის ელევატორები, ქართული მედუქნეები-კი თვალის დახამხამების უმალ გააჩენენ ხოლმე უზარმაზარ „ელევატორებს“!.. „კანონები ჯიბეში უწყვიათ-და!..“ დროა ეხლა მაინც ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს სიღნაღის მაზრის ადმინისტრაციამ და სასტიკად გამოიძიოს: ვისი ბრალია მასხარად აგდება იმ კანონისა, რომელსაც ქვეყნის უმრავლესობის კეთილ-დღეობა აქვს საგნად.

ქიზიყელი

## უცხოეთის წვრილი ამბავი

იაპონიის პარლამენტი შესდგება წინანდელ სამხედრო წოდებისაგან, რომელსაც წარმოადგენს 94 დეპუტატი და 206 მოქალაქე. ეს პირველი დასი, რომელსაც ებარა ყველა სახელმწიფო საქმეები და ახალ თაობის აღზრდის საქმეც ამ ჟამად სრულიად გადაყენებულია და ამის ადგილი დაიჭირეს ხალხის წარმომადგენლებმა.

ხელობით პარლამენტის წევრნი ამ გვარად განაწილდებიან: 115 გლეხია, 45 სხვა-და-სხვა სამრეწველო და სავაჭრო საზოგადოებათა წარმომადგენელი, 27 ქალაქის ამხანაგობის წარმომადგენელი; 34 ვაჭარი, 28 ვექილი; 14 ისეთი, რომელთაც არავითარი ხელობა არა აქვთ, 7 მოხელე, 4 ლიტერატორი და 3 ექიმი. ამ სიიდან სჩანს, რომ მეურნეობას დიდძალი ნაწილი ჰყოლია წარმომადგენელი იაპონიის პარლამენტში.

## კათალიკოზნი საქართველოს ეკკლესიისა

(488—1811 წ.)

**იოანე** 1687—1691; 1696—1700. თ. დიასამიძე, ლევანის ძე, დედის ძმა მეფე ერეკლე I, ნაზარალიხანისა (Гуджары 25 გვ.) 1687 წ. შაჰსოლომანი სწერს ფირმანში იოანე კათალიკოზს: „რადგან თქვენი წინამოადგილე (ნიკოლაოზი) არ დაემორჩილა ნაზარალიხანს, იგი განვკვეთეთ და თქვენ იოანე დაგადგინეთო“ (Мцхетск. акты 238 გვ.) „1691 წ. გამეფდა გიორგი და კვალად დაადგინა კათალიკოზად ნიკოლაოზვე“. (ქ-ცხ. 62 გვ.) შემდეგ: „1696 წ. ერეკლემ დაიპყრა სრულიად ქართლი, განაყენა კვალად კათალიკოზობიდან ნიკოლაოზ და დასვა იოანევე“ იქვე 67 გვ. ირაკლიმ რაღაზედაც აწყევინა იოანეს 1690 წ. იოანე † 1700 წ.

**ევდემოს** 1700—1703 წ. თ. დიასამიძე, იყო ძმისწული იოანესი. «შემოდგომად მოკვდა ქათალიკოზი იოანე 1700 წ. დასვა ერეკლემ ევდემოს, ძმისწული იოანესივე. (ქ-ცხ. 67 გვ.) ესე ევდემოს და დედოფალი ანნა ურჩევდნენ ერეკლე მეფეს კეთილად ცხოვრებასა და არა შეურაცხებად ქრისტეანობასა; გარნა მან არავის უსმინა და ტფილისის მეტეხის ტაძარში ჯერ წირვა-ლოცვა აღკრძალა, მერე თოფის წამლის შესანახად გადააქცია. ამ ხანებში ყეენმა იმერეთში მყოფ ვახტანგ VI დაუბრუნა საუფლისწულოდ ქართლი; ამისათვის ალში მოსრულს ვახტანგს (1701 წ.) ერეკლემ მიაგება კათალიკოზი ევდემოს და სპასპეტი ლუარსაბ ყაფლანიშვილი და შეჰფიცეს არა დაგიშავდება-რა, მოდი და მიიღე შენი საუფლისწულოო». (ქ-ცხ. 69 გვ.).

**დომენტი** 1705—1724; 1737—1742 წ. ძე ლევანისა და ძმა ვახტანგ VI სჯულის მდებლისა. გამეფდა თუ არა ვახტანგი ქართლში 1702 წლიდგან, მოიწადინა ევდემოსის გადაყენება (უმეცრებისა გამო) და ისევ ნიკოლაოზ ამილახვრის დადგენა, მაგრამ სამღვდელოთა კრებამ უარ-ჰყო ერთიც და მეორეც, აღირჩიეს რუსეთიდამ ახლად მოსრული დომენტი და აკურთხეს კათალიკოზად 1705 წ. (ქ-ცხ. 71 გვ.) კახეთში რაც საკათალიკოზო მამულები იყო ძველადგანვე, დომენტის აღარ აძლევდნენ კახელნი; ამისათვის 1707 წ. დომენტი წავიდა ყეენთან საჩივლელად და მისი წყალობის ფირმანით მერე კახეთში ჩავიდა იმამყულიხანთან, ყარაღაჯში; გაარიგა საქმე და მოვიდა მცხეთაში. 1712 წ. იესე აღიძრა შურით და ვახტანგი დაასმინა(?) ყეენთან—„თათრობის მტერიაო, მიწაზე დაახეთქა ყორანი და მერე ცეცხლში დასწვაო.“ ყეენმა გამომძიებელი გამოგზავნა; სიმონ ბატონიშვილიც იესეს მიემხრო; ვახტანგს არ ღალატობდა მხოლოდ სამღვდელოება. ვახტანგის მოძულე თავადებმაც იესე მოითხოვეს მეფედ. დომენტიმ და თითო-ოროლა სამღვდელოთ უნებლიეთ უმოწმეს სიმონს ვახტანგის წინააღმდეგ 1713 წ. გამეფდა იესე. ვახტანგის სახლეული რაჭაში გაიხიზნა. სვიმონმა შეიპყრო დომენტი კათალიკოზი და ბაქარს გაუგზავნა თვალების დასათხრელად, „სპარსეთში მყოფს ვახტანგს რად ემხრობიო“. მაგრამ დედოფალმა რუსუდანმა (ვახტანგ VI მეუღლე) არ უყო. დომენტიმ კრებისათანა დასწყევლა სვიმონი, გაჩნდა საშინელი ჭირიანობა და სიმონს ცოლ-შვილი ერთიანად ამოუწყდა; ხალხი კათალიკოზის წყევლას აწერდა სიმონის უბედურებასა. ამასობაში (1712 წ.) მამია გურიელი (იმერეთის მეფედ ნამყოფი, სიძე გიორგი აბაშიძისა) ეწვია დომენტის, გიორგი მეფისაგან დამარცხებული და დევნილი რაჭიდან გადმოვიდა ცხინვალში ბაქარის ნებართვით და გორში ჩამოვიდა, სადაც ქათალიკოზი დომენტი გულუხვად უმასპინძლებდა. (ქ-ცხ. 224 გვ.) ისე რომ მეფედ მოვიდა (1714 წ.), ვახტანგის სახლეული გორიდამ რაჭას გაიხიზნა, დომენტი-კი ჩამოვიდა ტფილისში და პატივისცემით იქმნა შეწყნარებულ იესესაგან. (ქ-ცხ 78—79 გვ.).

დაიპყრეს ოსმალთ ქართლი თუ არა (1724 წ.), ისაყ-ფაშას გაიძვერობით დომენტი იძულებული იყო ქ. ლორიდან სტამბოლში წასულიყო სულთანთან. წარსულს დომენტის ისაყფაშამ იესეს ჩაგონებით თან დაადევნა დაბეზღების მოხსენება; ამისთვის სტამბოლში დააპატიმრეს დომენტი და ბოხჩადას კუნძულზედ დაამწყვდიეს. სამშობლოს გულშემატკივარი მღდელთმთავარნი გადავიდნენ რუსეთში *) აქედგან, მტერთაგან დაცემულის სამშობლოს კვლავ აღდგენის მონატრე შემდეგს გულ საკლავ წერილს სწერს თავის მოადგილეს ბესარიონ კათალიკოზს: „რაჲ მოგითხრა, თუ ვითარ აოხრებულ არს ქვეყანა ჩვენი. მე არა მწყენია, რომ მამა-პაპათა სარწმუნოების უარ მყოფელმა იესემ შენ დაგადგინა ჩემს ნაცვლად-კათა-

*) ქრისტეფორე მთავარ-ეპისკოპოსი, ტფილელი პავლე, მროველი ნიკოლაოზ, ურბნელი არსენი, ნიქოზელი იონა, ალავერდელი რომანოზ.

---

ქალი დაგვილოცე და გაგვისტუმრეო. შევა ქალთან ოჯახის უფროსი, გამოიყვანს პირ-ახვეულ დედოფალს, სამჯერ დააბრუნებს მარჯვნივ, შესვამს ცხენზედ და ჩააბარებს უფროსს მაყარს, ისიც მარჯვნივ დააბრუნებს და გაუდგებიან მაყრულის სიმღერით შინისაკენ. რამდენსაც ქალის მამა მისცემს სიძის მაყრებს საჩუქარს, იმდენიც სიძემ უნდა მისცეს იმ მაყრებს, რომელნიც ქალს გაჰყვებიან.

სახლს რომ მიუახლოვდებიან ნახევარ ვერსტის მანძილზე, ერთი მაყარი მახარობლად გაიქცევა, შევა ეზოში თუ არა, დაიწყებს თოფის სროლას, იქიდგანაც გამოცვივდებიან სანთლით და უცდიან დედოფლის მისვლას. მოიყვანენ დედოფალს, მიეგებება მამამთილი, ჩამოსვამს ცხენიდგან, მერე დედამთილი ან ძიძა შაქარს ჩაუდებს პირში, შეიყვანენ შინ, კართან დაახვედრებენ ჭიქით სავსე ღვინოს, რომელიც უთუოდ ფეხით უნდა წააქციოს და დაღვაროს, შემდეგ მისცემენ საინით სავსე ღომის კაკალს, სამჯერ შემოატრიალებენ, ისიც აბნევს რაც შეუძლიან და ჩუმად ილოცება, მერე დასმენ სკამზედ და ჩაუსვამენ კალთაში ვაჟს, რომელსაც საჩუქრად უნდა მისცეს ერთი პერანგი, პირსახოცი და ქისა. შემდეგ მიუტანენ ხაჭა-პურს, რომელიც მაღლა უნდა ისროლოს. მაყრები „კუხხაბედნიერას“ მღერით უვლიან გარს დედოფალს და სცდილობენ ხაჭაპური მოსტაცონ ერთმანეთს. მერე წაიყვანენ დედოფალს იმის ოთახში, საცა უწყვია მზითევი, მორთავენ, საჭმელს აჭმევენ და დააყენებენ ფეხზედ. დაჯდომა დიდ სირცხვილად მიაჩნია და ვერც ხმას ამოიღებს, ჩუმად თუ ჩაუჩურჩულებს მდადეს, თორემ სხვას ვერ გაუბედავს ლაპარაკს, პირ-ახვეულია.

მაყრები და დანარჩენი სტუმრები მღერიან მაყრულს, მერე ამბობენ ვაარირასა... უკრავენ ტაშსა და თამაშობენ. ნაშუაღამევს მოვა მასპინძელი და წაიყვანს სტუმრებს სეფაში, მაყრებს უჩვენებს ადგილს და დანარჩენები რიგ-რიგად დასხდებიან: ქალები ერთად და კაცები ერთად. სეფა ორმოცი, ან სამოცი საჟენია სიგრძით, სტოლებადა და სკამებად ერთ მტკაველ სიმაღლეზედ ფიცრებია გაწყობილი. აქა-იქ ცეცხლი ანთია, თითო საჟენის მანძილზე დარჭობილია კეტები, რომლებზედაც სანთლები ანთია. მოიტანენ ხელ-საბანს, წყალს, ყველას ხელს დააბანინებენ, შემდეგ შემოაქვთ დიდის ქვაბებით ღომი, ამოიღებენ ორ-ორს ჩოგანს და დასდებენ ყველას წინ სუფრაზედ უთეფშოდ. სუფრის მაგივრად ახალი მიტკალი აქვთ გადაფარებული, ორ-ორს ლავაშსაც წინ დაუწყობენ თითოეულს კაცსა. ამას მოაყოლებენ საინებით ქათმის ხორცსა, პილპილითა და საწებლით გაკეთებულს, რომელსაც ღომი ძლიერ უხდება. გამოჰყავთ პირ-ახვეული პატარძალი ორ მოხუც ქალს—მდადეებს, დასმენ სეფის თავში და მოუსხდებიან აქეთ-იქით. მერე მოაქვთ თხის ანუ ღორისა და ძროხის ხორცი, ნაჭერ-ნაჭერად დაჭრილი, ჩამოარიგებენ ამასაც უსაინოდ.

შემდეგ მოდის დედამთილი და თან მოსდევს კაცი, რომელსაც ქაღალდი და საწერ-კალამი მოაქვს. მივლენ დედოფალთან, დაიდგამენ ახალ ტაშტს, ორი სხვა კაცი ჩამოივლის, ფულს მოჰკრებს, მიიტანს და დააწყობს თითო-თითოდ ტაშტზედ: „ეს მანათი მოგართვათ უტუმა, უმეტესის მოტანა მინდოდა, მაგრამ ნაზარალევი ვარ და მეორე რძლის მოყვანის დროს უფრო მეტს მოგართმევო“. იძახის ხმა-მაღლა: „სამი აბაზი სიკაიამ, ათი შაურიც ნაჟიამ, ერთი აბაზი ქვრივმა მაკაიამ“. ყოველ ასეთს ძღვენს ისეთ სასაცილო სიტყვებს ატანს, სტუმრები სიცილსა და ხარხარში არიან. ყველამ უნდა შეაწიოს რამე ქალის მომყოლ მაყრებს გარდა, ვისაც რა შეუძლიან, ქალის მაყრებს-კი არ ართმევენ.

ყველა რომ თავს გადააგდებს ფულსა, მერე დედოფალს პირს ახდიან და ყველა მაშინ დაინახავს ხოლმე. ისვრიან თოფებს, უხარიანთ პატარძლის ნახვა. შუაღამემდე იმყოფება დედოფალი სეფაში; შემდეგააყენებენ და წაიყვანენ ხოლმე მოსასვენებლად. დანარჩენი სტუმრები ღვინის სმასა და სიმღერაში არიან, სცდილობენ დედოფლის მაყრები დაათრონ და ამ ლხინით გაათენებენ, თუნდა ზამთრის ღამე იყოს. მეორე დილას მთვრალი მაყრები ადგებიან, ან ძროხას, ან თხას და ან ქათამს ესვრიან თოფსა და მოჰკლავენ. მასპინძელი ხმას ვერ გასცემს. ამითი თავდება ქორწილი. მერე მაჰნკლებს შეუდგებათ ერთი ალიაქოთი: საკლავების ტყავისა და თავ-ფეხის განაწილებისა გამო. გაიყოფენ შუაზედ, დალოცავენ ნეფე-დედოფალსა და წავლენ.

## II

### ქელეხი

მეგრელებს რომ ვინმე მოუკვდებათ, ისეთ წივილ-კივილს დაიწყებენ ხოლმე, რომ მთელ სოფელს შეჰყრიან; თმებს იგლეჯენ, ლოყებს და კისერს იკაწრავენ, ისე რომ სისხლს გამოიდენენ. რომელიც ასე არ მოიქცევა, გარდაცვალებული არა ჰყვარებიაო, ამბობენ. მიცვალებულის დასაკრძალავად სულ უბრალო ძაძებს იყიდიან ჭირისუფლებისათვისაცა და გამზრდელებისათვისაც, თუნდა მთელს გვარში 40 კაცი და ქალი იყოს. შეჰკერავენ კაბებს უქობოდ და გადუკეცავად, თავზე დასახურავსაც იმ ძაძისას იკეთებენ. დასაფლავების დღეს ჭიშკართან ჩამოჰკიდებენ ზარას და დააყენებენ ერთს გლეხის ბიჭს, რომ შეატყობინოს მომტირლების მოსვლა ჭირისუფალს ზარის რეკით.

გააკეთებენ სამოც საჟენიან სეფას, ან იმდენს, რამდენიც მოწვეული ეყოლებათ, უფრო ხშირად-კი სამოც საჟენიანს. დასტოვებენ შუა ალაგას შესავალ კარებსავით. დანარჩენს ან ჩალით ან ყავრით დაჰხურავენ. გარშემო დაასობენ ორ მტკაველზედ ბარჯგებს *), ზედ ფიცარს დააკრავენ და ასე გააკეთებენ სკამებსა და სტოლებს. ზედ გადააფარებენ ირგვლივ ახალს მიტკალს. გადააბიჯებენ სუფრას და ისე ჩამწკრივდებიან. მოაქვთ ხელის საბანი წყალი, ყველას ხელს გაააბანინებენ. მოიტანენ ხონჩებით თითო აბაზიან პურს, ორ-ორად და-

*) სვეტებს.

ლიკოზად. მე ვსასოებდი, რომელ მეფესთან ეგრე დაახლოვებული მცველ ® მფარველ ექმნებოდა სარწმუნოებასა ჩვენსა და ეკკლესიას. შენ ალაგას სხვა ყველა შეიძლებდა შერყეულის ეკკლესიის დამშვიდებასა; დანიილ ეპისკოპოსის ცრემლნითა, მუხლმოდრეკით მთხოვნელისა 50 ყრმათა დახსნისათვის ოსმალთა ტყვეობისაგან, უნდა აღეძრათ გული შენი და დაგეხსნა იგინი საუკუნოსა და დროებით დაღუპვისაგან. ერთი მათ ყრმათაგანი აქ კონსტანტინეპოლში გამოსყიდულ იქმნა სომხის გასპარის მიერ და ჩემდა მოყვანებულ მოსამსახურედ. ყრმა ესე არის მუხრანიდამ და ძე ზონიაშვილისა; დღე და ღამ აფრქვევს ცრემლთა და ვერ ივიწყებს სამშობლოს განშორებასა. ვერა რაჲმე ვერ ანუგეშებს მას და მისი მწარე სიცოცხლე სამშობლოს მოშორებისა გამო უაღრესად ამძაფრებს სულიერთა ჩემთა წყლულთა. სხვა 49 ყრმანი სტამბოლის სავაჭროზედ განსყიდულ იქმნენ და წაყვანებულ იქმნენ ტყვედ ეგვიპტეში და ალჟირში. რას ფიქრობ, რა პასუხი უნდა მისცე ღმერთსა, რომელმან მოგმადლა შენ დაცვა ქრისტეს ეკკლესიისა შვილთა? ვსწუხარ სულით, რომ შენს მოვალეობას მოგაგონებ, თუმცა მე ღირსი არა ვარ განკიცხვად შენდა. ჰქმენ, რაჲცა გსურს: მე განშორებულ ვარ გამგეობასა, გარნა სიყვარული ღვთისა და თვისთადა მაიძულებს მოგაგონო მოვალეობა შენი, ვითარცა უხუცესსა მწყემსსა ეკკლესიისა.

მე მომითხრეს, ვითარმედ საეკლესიო საუნჯენი და ყოველი შემოწირულებანი ჩვენთა მეფეთანი წარტაცებულ არიან. განა შეუძლებელი იყო მათი სამალავებში დაკრძალვა, როგორც უწინ ჩვენი წინამოსაყდრენი ჰკრძალავდნენ და იფარვიდნენ განძარცვისაგან? უფალმა ღმერთმა დაიცვას ჩვენი ეკკლესია სრულიადისა აოხრებისაგან, ხსნა მის მიერ არს და ვსასოებ, რომ ეკკლესია ოდესმე გაბრწყინდება და ჩვენზედ მხოლოდ იმის-ღა იტყვიან, რომ ჩვენის უღირსებისა გამო ქვეყანასა ჩვენსა მოევლინა უმწარესნი უბედურებანი. სახელითა ღვთისა და იესო ქრისტესითა, ყოველთა წმიდათათა, ზე ციდან მხილველთა ჩვენთა საქმეთასა, გთხოვ და გევედრები იქონიო ზრუნვა ქრისტეს სამწყსოზედ, რომლისათვის ისე სახელოვნად იღვწოდენ მწყემსნი სულიერნი და დასდებდნენ სულთა თვისთა წინდად მწყსილისა სიტყვიერისა ქრისტეს სამწყსოჲსა ცხოვნებად. განა არა ფიქრობს იესე, ქრისტეს უარმყოფელი, რომ ოდესმე უნდა წარსდგეს წინაშე მისსა, რომელიც უარჰყო მხოლოდ იმიტომ, რომ მტრებთან ერთად აღელო მახვილი დასათრგუნავად სამშობლოჲსა ყოველთა სიწმიდეთა, ქვეყნიერი ტანჯვანი წარმავალნი არიან. ღმერთი განჰკურნავს მორწმუნეთა ძეთა წყლულთა, გარნა ვაჲ მათ, რომელნი თავ ერისა სდგან და უდებებით არა იფარვენ თანამდებობისაებრ მომაკვდავსა ერსა. კურთხევა ღვთისა იყავნ სამშობლოსა ზედა ჩვენსა, განუსვენოს ღმერთმა სულსა აღწყვედილთასა სასუფეველსა თვისსა. აღკურთხნეს ღმერთმან იგინი, რომელნი ზეციერთაებრ სარგოდ ქრისტიან ერისა ილვწიან და იქმნებიან მამად და ნუგეშინის მცემლად დაობლებულთა და ჩაგრულთა *)

დომენტი მოვიდა სტამბოლიდამ იმერეთში მაისის 25 1738 წ. ხოლო ამავე წლის ნოემბრის 27 ჩამოვიდა მცხეთაში. ქ—ცხ. 342—344 გვ. დომენტიმ აღწერა საქართველოს ისტორია და წმიდათა ცხოვრება. 1741 წ. შემოდგომაზედ დომენტი ავად გახდა ტფილისში; სანახავად ჩამოვიდა კახეთიდან დედოფალი თამარი, ასული ვახტანგ VI; თამარმა მოახდინა სამღვდელოთა კრება და დომენტის ჩვენებით აღირჩიეს კათალიკოზად მეფის იესეს ძე ანტონი, იმ დროს ქუთათელი; ანტონმა უარი სთქვა. ამისათვის დომენტიმ მოუწოდა ურბნელს ნიკოლაოზს (ხერხეულიძეს), დააჩოქა წინაშე თვისსა, აკურთხა ხელის დადებით კათალიკოზად, მისცა ხელში კვერიხი საკათალიკოზო და 1742 წ. იანვარში მიიცვალა. თამარმა დიდის პატივით დაასაფლავა მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში. ქ.-ცხ. 349 გვ.

პ. ცხვილოელი

*) იხ. Ист, взгл. па сост· грузін., Іоссел. 83—86 გვ.

---

პრილს. ამას რომ დაარიგებენ, ახლა სხვა მოიტანს დიდის ქვაბებით ლობიოს, შეუკმაზავს ამოიღებს საინით და ისე წყლიანად ჩამოურიგებს.

ჭამას რომ გაათავებენ, რაც პური დარჩებათ, გამოიხვევენ თავსაფრებში და წაიღებენ შინა. შემდეგ მეორე პირად სხვებს აჭმევენ, ასე რომ ათასი ქალი და კაცი რომ იყოს, სუყველას სამყოფი მზადება აქვთ.

ჭირისუფლების დასასხდომად და კუბოს დასასვენებლად გააკეთებენ სიგძით ექვს საჟენ და სიგანით ოთხ საჟენიან სამ კედელს, დაჰხურვენ ზაფხულში ბზისა და დაფნის შტოებით, ზამთარში-კი ყავრითა და მოაგებენ ხალიჩებით. დადგამენ კუბოს, თავით დასვამენ გაზრდილს; ფეხით ცოლს, კედლისკენ სხედან გამზრდელები და ნათლიდედები თავიანთ ქალებითურთ. მეოთხე კედელი გაყოფილია შუაში სვეტით, რომელიც ბზითა, და დაფნით და სხვა-დასხვა სურნელოვან მცენარეებით არის შემოსილი. ვინც მოვა მოტირალი, მიაგებებენ შვიდ ყაზახს, რომელნიც ამბობენ ზარს („ვაევა-ვაევა“-ს) თითო-თითო მივა მიცვალებულს იტირებს, ცოლსაც მიუსამძიმრებს, დაბრუნდება და უთუოდ მარცხენა მხრით უნდა გამოვიდეს, ამიტომ რომ გამოსავალთან ჭირისუფალი კაცები სდგანან: ძიძის შვილებს უჭირავთ ორი ცხენი, ერთი კაცის უნაგირითა და ერთი ქალისა, შავ მიტკალ გადაფარებული. ცხენებთან ახლო დგას სტოლი, რომელზედაც აწყვია ვერცხლეული, თუ-კი რამე აქვს მიცვალებულს ოჯახში. მერე მიბრუნდებიან მეორე სტოლთან, რომელსაც უზის მწერალი კაცი და ვინც რამდენს გადასაბურავს მიიტანს, ყველა უნდა ჩასწეროს. ვისთანაც რამდენი მიუძღვის მიცვალებულს, იმდენი მოუვა ფული, ასე რა ხან ამ გზით შეკრებილი ფული ხარჯს დაჰფარავს.

სალამომდე არიან ვია ვაგლახში და სალამოს, მიცვალებულს პანაშვიდს გადაუხდიან შემდეგ მოვლენ ოროლად ჭირისუფალნი გამოეთხოვებიან მიცვალებულს, შენდობას მისცემენ, მოიტანებენ ორ დიდ გათლილ მომსხო კეტს, დააკრავენ ზედ კუბოს და წაიღებნ სასაფლაოზედ. ძალიან იშვიათია, რომ მიცვალებულს ორმოცი კაცი გაჰყვეს სასაფლავომდე, ამიტომ რომ გასვენებამდინ ყველანი წავლენ-წამოვლენ ხოლმე.

ჭირისუფლები, რაც უნდა დიდი ზამთარი იყოს, ფეხ-შიშველები მისდევენ მიცვალებულს სასაფლაომდე.

მ. ცაიშელი

## გასართობი

ერთმა ჭკუაზედ შეშლილმა დაინახა ქუჩაში ანაფორიანი მღვდელ-მსახური, ამოიღო ხმალი და უთხრა:

— ჩემი ნატვრა სულ ის იყო, რომ მღვდელი მომეკლა როგორმეო. ანაფორიანმა წარბიც არ შეიხარა და მშვიდად, გულ-გრილად მიუგო:

— ჩააგეთ ხმალი ქარქაშში, რამეთუ მე ჯერ ისევ მთავარი ვარ, და, მაშასადამე, მე რომ მომკლათ, თქვენი ნატვრა არ აგისრულდებათო.

**

— შვილო, შენ პატარახანს შინ იჯექი, წავალ მესაათესთან, საათს მივცემ გასაწმენდად, გუშინდელს აქეთია დამდგარა, უთხრა მამამ თავისს პაწია შვილს.

— არა, მამა, საათს გაწმენდა არ უნდა, გუშინ კარგა ხანი საპნითა და ქვიშით ვხეხე და მერე მდინარეზედაც ჩავიტანე გასარეცხადაო, უპასუხა პაწიამ.

**

დიდებული მომღერალი ლაბლაში ისეთი საშინელი მოსული და სქელი კაცი იყო, რომ იმის მგზავსი სხვა არ მოიპოვებოდა. ერთხელ ვენაში ლაბლაშმა ეტლი იქირავა სხვაგან წასასვლელად და მეეტლემ ჰკითხა:

— ბატონო, როგორ მიბძანებთ წაგიყვანოთ, ერთბაშად თუ ორგზადაო?

## დეპეშა

21 ივლისი

**პეტერბურგი.** ხვალ ფინანსის მინისტრის ამხანაგი ივაშჩენკოვი მიდის ოდესას, ნოვოროსიისკს, ბაქოს, ბათუმს და ტფილისს საბაჟოების, სახაზინო პალატათა და სახელმწიფო ბანკის განყოფილებათა დასათვალიერებლად.

**ლონდონი.** იაპონიის მთავრობამ შეატყობინა გარეშე ქვეყნების წარმომადგენელთ, რომ ომი ჩინეთსა და იაპონიას შორის უკვე დაიწყოო.

**ჟიმონი.** დღეს გამოცხადდა, რომ ავსტრიასა ® სერბიას შორის არსებობს სამხედრო ხელშეკრულობა, რომლის ვადა აგვისტოში თავდება. ეს პირობა ხელ-მოწერილია მაშინდელის სერბიის მინისტრის შიუტოვიჩისაგან. ავსტრია მილანის შემწეობით სცდილობს, რომ ხელ-შეკრულობა 12-ის წლით კიდევ ძალაში დარჩეს. ოპოზიციის გაზეთები-კი წინააღმდეგნი არიან ამისა. ლიბერალი და რადიკალი გაზეთებიც ამ ხელ შეკრულობას სამშობლოს ღალატად სთვლიან.

### პეტერბურგის ბირჟა, 19 ივლისი

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,44 | 7,46 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 148 1/2 | 149 1/4 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 240 1/2 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 226 1/2 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 190 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | — ,, | 101 3/4 | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | 101 | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — ,, | 102 | — ,, |
| 5%. . . . . . | 101 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99 | — ,, | — ,, |


## განცხადებანი

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად სურათებიანი წიგნი

**სვიის გვირგვინი**

მოთხრობა ყმაწვილებისათვის ქრისტეფორე შმიდტისა

თარგმანი სალომე შუბათელისა

წიგნი ისყიდება წერა-კითხვის და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში.

(3—მ—1)

---

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**ყ. მ. ჩიქოანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. ზროტასევიჩი**,—11 1/2—12 1/2 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი.** 12 1/2—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. ზ. კარაპეტიანცი**, 1—1 1/2 საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7 1/2 საათამდის.

**ქ. ი. ფრანციუსი**, 7—7 1/2 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

(857—1467)

---

### ხარკოვში

„რიბნი“ ქუჩაზედ

გაიმართა სასტუმრო

**„რუჟა“**

დიდად მოხერხებულია, და იაფი.

საუკეთესო სამზარეულო აქვს ხარკოვში.

სასტუმროსთან არის გამართული უმთავრესი საწყობი რიგას ლუდის ქარხნისა „კალდშლიოსხენისა“.

ლუდი იგზავნება ყველა ქალაქში.

---

## ცხოვრება

შვიდთა ყრმათა ეფესელთა

გამოცემა მ. შარაძისა ® ამხ. სტამბისა

ფასი ერთი შაური

ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . . | „ | 20 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 20 |


Дозволено цензурою Тифлисъ, 20-го Іюля 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.